



04.04.2018

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

პირველი სამუშაო ჯგუფის  
სხდომის ოქმი №2

1. პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	ორგანიზაცია
თამარ ონიანი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნაზი ჯანეზაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
შოთა ქადაგიძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
გიორგი პავლაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნათია ზურაბაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნათია მახათაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნინო დემურხანაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

## 2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

---

- 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიითა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული აქტივობების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა;
- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტების განხილვა (იხ. აქტივობები - 1.1.1.6; 1.1.4.1.; 1.1.4.2.);
- „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტების განხილვა (იხ. აქტივობები - 1.1.3.2.; 1.4.1.4.; 1.4.1.5.);
- „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტის განხილვა (იხ. აქტივობა - 1.3.1.1.);
- სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სამომავლო გეგმებზე შეთანხმება, ამ მიზნით ჯგუფის წევრებს შორის დავალებების განაწილება და მათი შესრულების ვადების განსაზღვრა.

## 3. პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა

---

2018 წლის 4 აპრილის პირველი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 5 წევრი: თამარ ონიანი, ნაზი ჯანუაშვილი, შოთა ქადაგიძე, გიორგი პავლამე და ნათია ზურაბაშვილი. კვორუმი შედგა, ჯგუფის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

ჯგუფის კოორდინატორმა, ნათია მახათაძემ ისაუბრა 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიითა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული აქტივობების შესრულების მდგომარეობის შესახებ, გააცნო ჯგუფის წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული პროექტების შინაარსი და მიზანი.

ჯგუფის წევრებმა სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებიდან გამომდინარე გადაინაწილეს დავალებები და განსაზღვრეს მათი შესრულების ვადები.

#### 4. პირველი სამუშაო გეგმის შეთანხმდა შემდეგზე

პირველი სამუშაო გეგმის წევრები არ დაეთანხმნენ სხდომაზე წარმოდგენილ პროექტებს. დაიგეგმა პროექტებში გარკვეული ცვლილებების შეტანა და მათი განხილვა მომდევნო სამუშაო გეგმის სხდომაზე.

ამასთან, სამომავლოდ დაიგეგმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებისთვის ფუნქციური იმპლემენტით და სოციალური დაცვის გარანტიების უზრუნველყოფის<sup>1</sup> თაობაზე პროექტის მოზადება, იუსტიციის სკოლის მსმენელებისა და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმებისა და დახვეწის მიზნით სამუშაო გეგმის შექმნა.<sup>2</sup>

პროგრამა 1.3.2-ის აქტივობებიდან გამომდინარე გეგმვა მიიჩნია, რომ საჭიროა ინფორმაციის მოძიება ჩატარებული ტრენინგების ოდენობისა და თარიღების შესახებ. ამასთან, ჩასატარებელია კვლევა.

#### 5. თანდართული დოკუმენტები

- პირველი სამუშაო გეგმის 2018 წლის 4 აპრილის შეხვედრის დღის წესრიგი.

თანამომხსენებლები:



თამარ ორშიანი



ნანი განუჩაშვილი

სხდომის მდივანი:



ნინო დემურშანიშვილი

<sup>1</sup> პროგრამა 1.1.2-ის მესამე აქტივობა.

<sup>2</sup> პროგრამა 1.2.1-ის პირველი აქტივობა.

---

## I სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგი

---

შეხვედრის ადგილი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

თარიღი: 20 აპრილი, 2018

დრო: 15:00 საათი

---

### განსახილველი საკითხები:

- I. 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიითა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული აქტივობების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა;
- II. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტების განხილვა (იხ. აქტივობები - 1.1.1.6; 1.1.4.1.; 1.1.4.2.);
- III. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტების განხილვა (იხ. აქტივობები - 1.1.3.2.; 1.4.1.4.; 1.4.1.5.);
- IV. „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების პროექტის განხილვა (იხ. აქტივობა - 1.3.1.1.);
- V. სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სამომავლო გეგმებზე შეთანხმება, ამ მიზნით ჯგუფის წევრებს შორის დავალებების განაწილება და მათი შესრულების ვადების განსაზღვრა.